საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0000686970

08/07/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში

შესვლის ხვა თარიღი, ამავე მუხლის მე - 7^2 პუნქტის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუკი, საგანმანათლებლო დაწესებულებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხდა აკრედიტაციის უწყვეტ რეჟიმში გაგრძელება, საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლებელია აკრედიტაციის ვადის დასაწყისი (გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღი) დადგინდეს ამ მუხლის 7^1 პუნქტისგან განსხვავებული წესით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 27 ოქტომბრის №1043545 წერილით სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.
2.2 ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის №1090870 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 მაისის №480940 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განახორციელა 2021 წლის 04 ივნისს. ხოლო 2021 წლის 18 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2021 წლის 24 ივნისს.*** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გ *აიზიარა* ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭომ დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

3. სარეზოლუციო ნაწილი
"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1.დაკმაყოფილდეს *სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „აგრარული ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „აგრარული ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს *2021 წლის 8 ივლისის №686799 სხდომის ოქმის №01 ნაწილი* ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
4.1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4.2. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
4.3.რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;

რჩევები:

1. სასწავლო კურსის სილაბუსებში და პროგრამაში გამოყოფილ იქნას ცალკ-ცალკე ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
2. მოხდეს სადოქტორო პროგრამის პირველი სწავლის შედეგის სტილისტური კუთხით ცვლილება ბლუმის ტაქსონომიიდან შესაბამისი ზმნის გამოყენებით;
3. პროგრამაში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი არჩევითი კურსები მიკრო და მაკრო ეკონომიკის კუთხით;
4. სილაბუსებში აისახოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ინტერაქტიული პრაქტიკული მეცადინეობები;
5. საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მეტ სასწავლო კურსში მოხდეს დარგში სამეცნიერო შრომების მითითება;
6. სავალდებულო გახდეს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან მინიმუმ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება Scopus-ში ან Web of Science -ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში/კონფერენციათა მასალების კრებულში;
7. როგრამა პერსპექტივაში გაძლიერდეს მოწვეული პერსონალით, რაც უფრო მეტად გაამდიდრებს პროგრამას;
8. პერსონალისა და სასწავლო კურსების შეფასებაში სტუდენთა ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტმა მოახდინოს სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 12 ივნისს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ